

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	9
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3 ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4 ძირითადი საშუალებები	18
5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
7 ფული და ფულის ეკვივალენტები	18
8 საწესდებო კაპიტალი	18
9 გადავადებული შემოსავალი	18
10 საგადასახადო ვალდებულებები	19
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
12 შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	19
13 უსასყიდლოდ მიღებული აქტივები	19
14 ხელფასის ხარჯი	19
15 კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	19
16 სხვა ხარჯი	19
17 პირობითი ვალდებულებები	20
18 ფინანსური რისკების მართვა	20
19 დაკავშირებული მხარეები	21
20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	22
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

სერგო ფიფია
დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

სერგო ფიფია
დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"-ს დამფუძნებელს და მენეჯმენტს****უარი მოსაზრების გამოთქმაზე**

ჩვენ დაგვიქირავეს შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშველობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმენლად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების არსებობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენილია 14,620 ათასი ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში უსასყიდლოდ მიღებული აქტივებისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს 16,624 ათას ლარს. აღნიშნული შემოსავლიდან 14,882 ათასი ლარი წარმოადგენს მფლობელისგან უსასყიდლოდ მიღებულ ძირითად საშუალებებს, რომელიც არ არის შეფასებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და შესაბამისად არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რათა დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების და უსასყიდლოდ მიღებული აქტივებისაგან მიღებული შემოსავლის სისრულე და სიზუსტე.

2023 წელს კომპანიამ მფლობელისაგან უსასყიდლოდ მიიღო სასაქონლო-მატერიალური მარაგები 164 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არ არის აღრიცხული ბუღალტრულ სისტემაში. ამასთანავე, ვერ მოვიპოვეთ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რათა დაგვედასტურებინა სასაქონლო-მატერიალური მარაგების და უსასყიდლოდ მიღებული აქტივებისაგან მიღებული შემოსავლის სისრულე და სიზუსტე.

კომპანიის სააღრიცხვო პრაქტიკის მიხედვით, დამფუძნებლისგან ნაჩუქარ ქონებას აღრიცხავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც საოპერაციო შემოსავლებს "უსასყიდლოდ მიღებული აქტივების" მუხლში, ნაცვლად კაპიტალის მოძრაობის უწყისისა. 2023 წლის განმავლობაში დამფუძნებლისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღრიცხა იყო 16,214 ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით კაპიტალის მუხლში აღსარიცხი ოპერაციების სისრულეში და კლასიფიკაციაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი (გაგრძელება)

2023 წელს მფლობელისაგან კომპანიას კაპიტალში შეტანის მიზნით გადაეცა უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები). ამასთანავე, მფლობელისაგან უსასყიდლოდ გადაცემის გზით კომპანიამ მიიღო რიგი მოძრავი ქონებები. ზემოაღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონებები არ აქვს კომპანიას აღრიცხული ბუღალტრულ სისტემაში და ასევე აღნიშნული აქტივები არ არის დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ შეფასებული. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რათა დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების, საწესდებო კაპიტალის და უსასყიდლოდ მიღებული აქტივებისაგან მიღებული შემოსავლის სისრულე და სიზუსტე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა რწმუნება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,005 ათასი ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ და აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე, სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

კომპანიას სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებული აქვს საკასო მეთოდით ნაცვლად დარიცხვის მეთოდისა. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა დაგვედასტურებინა შემოსავლების სისრულე და სიზუსტე.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი დოკუმენტაცია 2023 წელს დარიცხული ხელფასების ხარჯზე, რომელიც 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,398 ათასი ლარით, შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები გადავადებული შემოსავლის დასადასტურებლად, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 2,278 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მიზნობრივად გახარჯული თანხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რათა დაგვედასტურებინა მიღებული სუბსიდიისა და გადავადებული შემოსავლის სისრულე და სიზუსტე.

კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებას და ბუღალტრულ ჩანაწერებში შესაბამისად ასახვას არ აწარმოებს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ცვეთის ხარჯის სისწორეში დასარწმუნებლად.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გამოვთქვით უარი ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გაცემაზე და ეს საკითხი ყოვლისმომცველია, ჩვენ არ შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული ფირმის რეგისტრაციის ნომერი:

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

SARAS-A-865011

თარიღი: 31 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 31-დეკ-23

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	4	14,620
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,620

მოკლევადიანი აქტივები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	2,005
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,093
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,002
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,100
სულ აქტივები		18,720

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	8	3
გაუნაწილებელი მოგება		14,513
სულ კაპიტალი		14,516

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

გადავადებული შემოსავალი	9	2,278
საგადასახადო ვალდებულებები	10	161
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,765
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,204
სულ ვალდებულებები		4,204
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,720

სერგო ფიფია

დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 31-დეკ-23

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	4	14,620
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,620

მოკლევადიანი აქტივები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	2,005
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,093
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,002
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,100
სულ აქტივები		18,720

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	8	3
გაუნაწილებელი მოგება		14,513
სულ კაპიტალი		14,516

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

გადავადებული შემოსავალი	9	2,278
საგადასახადო ვალდებულებები	10	161
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,765
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,204
სულ ვალდებულებები		4,204
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,720

სერგო ფიფია
 დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 30 დეკემბერი, 2024
 თბილისი, საქართველო



შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	20-ივნ-2023 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2023 მდე
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	12	2,047
უსასყიდლოდ მიღებული აქტივები	13	16,624
მიღებული სუბსიდია	9	122
სხვა შემოსავალი		63
სულ შემოსავალი		18,856
ხელფასის ხარჯი	14	(2,398)
სამედიცინო საქონლისა და კვების ჩამოწერა	5	(962)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	15	(310)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4	(286)
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი		(54)
იჯარის ხარჯი		(27)
სხვა ხარჯი	16	(306)
მოგება დაბეგვრამდე		14,513
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის წმინდა მოგება		14,513
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,513

სერგო ფიფია
 დირექტორი
 შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 30 დეკემბერი, 2024
 თბილისი, საქართველო

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნა	20-ივნ-2023 დან (დაარსების თარიღიდან) 31-დეკ-2023 მდე
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	12	2,047
უსასყიდლოდ მიღებული აქტივები	13	16,624
მიღებული სუბსიდია	9	122
სხვა შემოსავალი		63
სულ შემოსავალი		18,856
ხელფასის ხარჯი	14	(2,398)
სამედიცინო საქონლისა და კვების ჩამოწერა	5	(962)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	15	(310)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4	(286)
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი		(54)
იჯარის ხარჯი		(27)
სხვა ხარჯი	16	(306)
მოგება დაბეგვრამდე		14,513
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წლის წმინდა მოგება		14,513
წლის სხვა სრული შემოსავალი		-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		14,513

სერგო ფიფია
 დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
20-ივნ-23	-	-	-
კაპიტალის ზრდა	3	-	3
პერიოდის მოგება	-	14,513	14,513
31-დეკ-23	3	14,513	14,516

სერგო ფიფია
 დირექტორი
 შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 30 დეკემბერი, 2024
 თბილისი, საქართველო

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
20-ივნ-23	-	-	-
კაპიტალის ზრდა	3	-	3
პერიოდის მოგება	-	14,513	14,513
31-დეკ-23	3	14,513	14,516

სერგო ფიფია
 დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

20-ივნ-2023 დან
 (დაარსების
 თარიღიდან)
 31-დეკ-2023 მდე

შენიშვნა

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	954
მიღებული სუბსიდია	2,400
მომწოდებლებისათვის და თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,417)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	937

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	-
--	---

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

საწესდებო კაპიტალის გაზრდა	3
საბანკო ანგარიშზე დარიცხული სარგებელი	62
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	65

ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,002
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7 1,002

სერგო ფიფია
 დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

20-ივნ-2023 დან
 (დაარსების
 თარიღიდან)
 შენიშვნა 31-დეკ-2023 მდე

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	954
მიღებული სუბსიდია	2,400
მომწოდებლებისათვის და თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,417)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	937

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	-
--	---

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

საწესდებო კაპიტალის გაზრდა	3
საბანკო ანგარიშზე დარიცხული სარგებელი	62
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	65

ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,002
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7
	1,002

სერგო ფიფია
 დირექტორი

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"

30 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 2023 წლის 20 ივნისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფ. რუხი, მე-19 ქ. N23. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 420012667.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ა(ა)იპ "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი".

2023 წლის 20 ივნისიდან 2023 წლის 22 ნოემბრამდე პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ომარ ღურჯაია, 2023 წლის 22 ნოემბრიდან 2024 წლის 20 ივნისის ჩათვლით პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ლევან ბულია, ხოლო 2024 წლის 20 ივნისიდან დღეის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია სერგო ფიფია.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება ლიკვიდურობას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვების საფუძველზე. გამოდინარე იქიდან, რომ კომპანია დაარსდა 2023 წელს მისი ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვან სურათს არ იძლევა დასკვნების გასაკეთებლად, თუმცა მენეჯმენტი გეგმავს მომხმარებლებს აქტიურად შესთავაზოს თავიანთი სერვისი. 2023 და უკვე მიმდინარე წელს კომპანიას დაწყებული აქვს სამედიცინო მომსახურების გაწევა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.3 ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2023 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში (გაგრძელება)

	31-დეკ-23
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9753

2.5 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2024 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა შემდეგი შესწორებები:

ბასს 12-ის შესწორებები - „ერთი ოპერაციის შედეგად წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“

ეს შესწორების დოკუმენტი მოითხოვს, რომ ჯგუფმა მთლიანი (ბრუტო) თანხით აღიაროს იმ საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წინათ აღიარებული იყო ნეტო საფუძველზე. ეს გავლენას არ ახდენს ბალანსში ასახულ თანხებზე, ვინაიდან ეს თანხები ისევ ურთიერთგადაფარვას ექვემდებარება ბასს 12-ის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მე-8 შენიშვნაში ზემოაღნიშნული თანხები წარმოდგენილია ბრუტო სახით. წინა პერიოდში გამჟღავნებული მონაცემები ასევე შეიცვალა ამ შესწორების დოკუმენტში გათვალისწინებული გარდამავალი დებულებების შესაბამისად;

ბასს 12-ის შესწორებები - „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე პილარის მოდელის წესები“.

ზემოაღნიშნული შესწორებები კომპანიას საშუალებას აძლევს, არ აღიაროს ის გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მეორე პილარის საგადასახადო რეფორმასთან. საგადასახადო რეფორმის (მეორე პილარის კანონმდებლობის ძალაში შესვლის) მდგომარეობის გაურკვეველი ხასიათის გამო, ჯგუფმა ვერ შეძლო ამ რეფორმის მოსალოდნელი რაოდენობრივი გავლენის შეფასება იმ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული არ იყო მიმდინარე პერიოდში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. წინა პერიოდში არანაირი თანხები არ არის აღიარებული მეორე პილარის მოდელის წესებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც უნდა გამოვიყენოთ ზემოაღნიშნული შესწორება.

2.6 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ბასს 1-ის შესწორებები – ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად და ბასს 1-ის შესწორებები – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით.

ზემოაღნიშნული ორივე შესწორების დოკუმენტი ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა კონვერტირებადი სავალო ვალდებულების კლასიფიკაციაზე კოვენანტების მქონე ვალდებულებებზე, თუ ვალდებულება მოიცავს კონვერტაციის პირობას. ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ზოგიერთი ვალის კლასიფიკაციაზე და შესაძლოა სავალდებულო იყოს განმარტებითი შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება არსებული კოვენანტების გავლენის შესახებ კომპანიაზე.

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები

ეს შესწორებები გავლენას არ იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე, მაგრამ აუცილებელი იქნება განმარტებითი შენიშვნებში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება კომპანიის მიერ მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

2.7 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი.

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა მომსახურების გაწევა დასრულებულია, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის მომსახურების საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოვლენილი უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

2.8 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოვლენილი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოვლენილი გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალებები

სასარგებლო-მომსახურების ვადა

მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები

5-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

1-5 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9 იჯარა

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშევა ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა (როგორცაა პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი), აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშევა საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

2.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

2.11 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუთმავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე რელევანტურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელმწიფოებრივ ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებრივ პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.12 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ახარიცხვს ყველა საცალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საარითო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანებები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნება ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება ან ზარალში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს რეზერვის მატრიცას, რომ იანგარიშოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე. ანარიცხის განაკვეთები ეფუძნება ისტორიულ მონაცემებსა და მომავალზე ორიენტირებულ მიდგომებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მატრიცა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	> 360
რეზერვის პროცენტი	0%	2%	5%	25%	50%	100%

2.14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.15 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9-ის შესაბამისად.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ეკვივალენტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ ფულად საშუალებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

2.16 მიღებული გრანტები

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ: ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და ბ) გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება შემოსავლად მთლიანი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.

2.17 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.18 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

3 ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება "შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების" (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-10 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 21,994ს და 21,504 ათას ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

3 ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებები და არამატერიალური აქტივები იცვითება/ამორტიზირდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავრცელება გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

4 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანადგარები	სულ
ისტორიული ღირებულება				
20-ივნ-23	-	-	-	-
შემენა	179	1,199	13,528	14,906
31-დეკ-23	179	1,199	13,528	14,906
აკუმულირებული ცვეთა				
20-ივნ-23	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	(7)	(59)	(220)	(286)
31-დეკ-23	(7)	(59)	(220)	(286)
ნაშთი 31-დეკ-23	172	1,140	13,308	14,620

5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31-დეკ-23

მედიკამენტები	1,916
სხვა სამედიცინო მარაგები	89
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,005
სამედიცინო საქონლის ჩამოწერა	20-ივნ - 31-დეკ-23
მედიკამენტები და სახარჯი მასალა	865
კვება	88
თხევანდი და სამედიცინო ჟანგბადი	7
საწვავი	2
სულ სამედიცინო საქონლის ჩამოწერა	962

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შეადგენს 1,093 ათას ლარს.

7 ფული და ფულის ეკვივალენტები

31-დეკ-23

ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	1,000
ნადი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	2
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,002

8 საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 3 ათასი ლარის ოდენობით.

9 გადავადებული შემოსავალი

კომპანიის გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს მისი 100% წილის მფლობელი ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისგან მიღებულ დაფინანსებას, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,278 ათას ლარს. კომპანიამ მიღებული თანხები უნდა განკარგოს პაციენტთა მართვის ხარისხის გაუმჯობესებისა და სრულყოფილი სამედიცინო სერვისების მიწოდების ხელშეწყობის მიზნით, კლინიკისათვის საჭირო რეაბილიტაციისა და აღჭურვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

9 გადავადებული შემოსავალი (გაგრძელება)

2023 წელს მიღებული სუბსიდია მიზნობრიობის ფარგლებში შეადგენს 122 ათას ლარს.

10 საგადასახადო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 161 ათასი ლარს, რომელიც წარმოადგენს გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31-დეკ-23

კრედიტორული დავალიანება	1,111
გადასახდელი ხელფასები	654
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,765

12 შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან

სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაეწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალისგან, რომელიც 2023 წელს შეადგენს 2,047 ათასი.

13 უსასყიდლოდ მიღებული აქტივები

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი-სგან, რომელიც მისი 100% წილის მფლობელია, უსასყიდლოდ გადაეცა აქტივები 16,624 ათასი ლარის ოდენობით, რომლისგანაც 14,882 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს უსასყიდლოდ მიღებულ ძირითად საშუალებებს, ხოლო 1,742 ათასი ლარის ოდენობით კი უსასყიდლოდ მიღებულ სასაქონლო-მატერიალური მარაგებს.

14 ხელფასის ხარჯი

კლინიკაში არსებობს ფიქსირებული და გამომუშავებული ხელფასი, რომელიც გაანგარიშდება პაციენტის მიერ სტაციონარში გატარებული დღეების, ამბულატორიული ვიზიტების, ჰონორარების და მორიგეობების მიხედვით. შრომის ანაზღაურება წარმოადგენს კომპანიის ხარჯების უდიდეს ნაწილს. 2023 წელს ხელფასის ხარჯი შეადგენს 2,398 ლარს.

15 კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი

20-ივნ - 31-დეკ-23

ელექტრო ენერგიის ხარჯი	220
ბუნებრივი აირის ხარჯი	89
ინტერნეტის ხარჯი	1
სულ კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	310

16 სხვა ხარჯი

20-ივნ - 31-დეკ-23

რემონტის ხარჯი	182
დაცვის მომსახურების ხარჯი	45
საკანცელარიო ხარჯი	26
ანალიზის მომსახურების ხარჯი	19
საქმიანობის ნებართვის ხარჯი	17
ტრანსპორტირების ხარჯი	7
საპროექტო ხარჯი	4
დეზინფექციის ხარჯი	3
საკომისიო ხარჯი	2
სატენდერო ხარჯი	1
სულ სხვა ხარჯი	306

17 პირობითი ვალდებულებები

ანარიცხები წარმოადგენს სასამართლო დავებთან დაკავშირებულ თანხებს, რომლის მოგების ალბათობა, მენეჯმენტის მიხედვით 50%-ზე ნაკლებია.

18 ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

•

საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,093
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,002
სულ ფინანსური აქტივები	2,095

ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-23
გადავადებული შემოსავალი	2,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,765
სულ ფინანსური აქტივები	4,043

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის ყველაზე დიდი დებიტორია საქართველოს მთავრობა წარმოდგენილი სოციალური მომსახურების სააგენტოს (SSA) სახით.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).

18 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 + წელი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,093	-	-	1,093
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,002	-	-	1,002
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,095	-	-	2,095

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	5 + წელი	სულ
გადავადებული შემოსავალი	2,278	-	-	2,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,765	-	-	1,765
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,043	-	-	4,043
ლიკვიდობის სხვაობა	(1,948)	-	-	(1,948)
წმინდა ლიკვიდობის სხვაობა	(1,948)	-	-	

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით შემდეგნაირია:

2023 წლის 31 დეკემბრისთვის	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,093	-	-	1,093
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,002	-	-	1,002
სულ ფინანსური აქტივები	2,095	-	-	2,095
ფინანსური ვალდებულებები				
გადავადებული შემოსავალი	2,278	-	-	2,278
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,765	-	-	1,765
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,043	-	-	4,043

19 დაკავშირებული მხარეები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-23	კაპიტალის გაზრდა	გადავადებული შემოსავალი
დამფუძნებელი	3	2,278
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2023 წელი	მიღებული სუბსიდია	შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული აქტივებიდან
დამფუძნებელი	122	16,214

20 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 4 ოქტომბერს, შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა" ა(ა)იპ "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სთან შეთანხმებით მისთვის დასაბრუნებელი 500 ათასი ლარი გადაცდა დაფინანსების სახით შპს "რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო"-ს.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობის ანგარიშგება
2023 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. საქმიანობის მიმოხილვა.....	3
2.1. კომპანიის შესახებ	3
2.2. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ და განვითარების გეგმები	3
3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	3
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	3
5. ინფორმაცია კომპანიის საკუთარი აქციების შესახებ	4
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	4
7. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა	5
8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები	5

1. შესავალი

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია, დაინტერესებულ პირებს მისცეს შპს „რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს“ (420012667) საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება. აღნიშნული ანგარიშგების დახმარებით, მათ შეუძლიათ, როგორც კომპანიის სამომავლო პერსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება.

2. საქმიანობის მიმოხილვა

2.1. კომპანიის შესახებ

შპს „რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოს“ (420012667) დაარსდა 2023 წლის 20 ივნისს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საიდენტიფიკაციო კოდი 420012667). კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფ. რუხი, მე-19 ქ., #23

2023 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის 100-იანი წილის მესაკუთრე და მმართველია ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“ (402157330).

2.2. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ და განვითარების გეგმები

შპს „რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო“ გაიხსნა 2023 წლის 20 ივნისს, როგორც რეგიონში მთავარი კლინიკური ბაზა. საავადმყოფო გათვლილი იყო პროექტით 140 საწოლ ფონდზე და ნებართვა მიღებულ იქნა 140 საწოლ ფონდზე. აღნიშნული კლინიკა აღჭურვილია უახლესი და თანამედროვე ტექნიკით.

2023 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 285 თანამშრომელი.

კლინიკა გეგმავს გაფართოებას, კერძოდ რამდენიმე განყოფილების დამატებას, როგორცაა ოფთალმოლოგია, სამეანო განყოფილება, უროლოგია და პედიატრია. შესაბამისად, იგეგმება საწოლ ფონდის გაზრდაც.

3. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გაჩნია ფილიალები.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას კვლევისა და განვითარების სფეროებში ღონისძიებები არ ჩატარებია.

5. ინფორმაცია კომპანიის საკუთარი აქციების შესახებ

კომპანიას არ მოუხდენია აქციების ემისია ან გამოსყიდვა საანგარიშო წლის განმავლობაში.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში. ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა

აქტივი არის მოკლევადიანი თუ

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

8. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები

კომპანიის მთლიანი აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18,720 ათას ლარს.

კომპანიის მთლიანი ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,204 ათას ლარს.

კომპანიის მთლიანი კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,516 ათას ლარს.

კომპანიის წმინდა მოგება 2023 წელს შეადგენს 14,513 ათას ლარს.

ძირითადი საშუალებების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,620 ათას ლარს, რომლისგანა ოფისის აღჭურვილობა შეადგენს 172 ათას ლარს, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 1,140 ათას ლარს, ხოლო მანქანა-დანადგარები კი - 13,308 ათას ლარს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,005 ათას ლარს, რომლიდანაც მედიკამენტების ნაშთი შეადგენს 1,916 ათას ლარს, ხოლო სხვა სამედიცინო მარაგები კი შეადგენს 89 ათას ლარს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,765 ათას ლარს, რომლიდანაც სავაჭრო ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება) შეადგენს 1,111 ათას ლარს, ხოლო გადასახდელი ხელფასები კი შეადგენს 654 ათას ლარს.

დირექტორი

.....

სერგო ფიფია

2024 წლის 30 დეკემბერი

ძირითადი საშუალებების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,620 ათას ლარს, რომლისგანა ოფისის აღჭურვილობა შეადგენს 172 ათას ლარს, ავეჯი და სხვა ინვენტარი - 1,140 ათას ლარს, ხოლო მანქანა-დანადგარები კი - 13,308 ათას ლარს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,005 ათას ლარს, რომლიდანაც მედიკამენტების ნაშთი შეადგენს 1,916 ათას ლარს, ხოლო სხვა სამედიცინო მარაგები კი შეადგენს 89 ათას ლარს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,765 ათას ლარს, რომლიდანაც სავაჭრო ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება) შეადგენს 1,111 ათას ლარს, ხოლო გადასახდელი ხელფასები კი შეადგენს 654 ათას ლარს.

დირექტორი
სერგო ფიფია
2024 წლის 30* დეკემბერი

